



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 830

თბილისი

„24“ 06 2019წ.

„2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების (გარდა მე-12 კლასის მოსწავლეებისა) მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის N791 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2019 წლის 24 ივნისის N838645 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების (გარდა მე-12 კლასის მოსწავლეებისა) მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის N791 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების (გარდა მე-12 კლასის მოსწავლეებისა) მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის დამატებით ვადად დადგინდეს 2019 წლის 25 ივნისი;“.

2. დაევალოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი